საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია № 297 1918 წ. შაბათი, აგვისტოს 3

# სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

**ჩვენ ჯარი ტუიბულის და ოსეთის სამხედრო გზაზე მედგრად წინ მიიწევს. გუშინ რადიო-დეპეშები არ მოსულა.**

ღრმათ დამწუხრებული მაგდალინა ნიკოლოზის ასული ლორთქიფანიძისა შვილებითურთ—ნადია და ნიკოლოზ ლორთქიფანიძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ქალ. კავკავში გარდაიცვალა პირველის მეუღლე ხოლო უკანასკნელის მამა

პოლკოვნიკი პლატონ მიხეილის ძე ლორთქიფანიძე.

პანაშვიდი და გამოსვენება მიცვალებულის ქვაშვეთის ეკლესიიდან შაბათს, სად. 5 საათ. აგვისტოს 3. დაასაფლავებენ ს. ჩუნეში. 825

გულდამწვარი დედა ალექსანდრა რომანის ასული რაჩუპკინისა შვილი გიოგრი, ბებია ნინო შვილებით: ნიკოლოზ, არჩილ, მარიამ და რძალი დარია ღვინიაშვილები, ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ და ამხანაგებს თავიანთ საყვარელ და დაუვიწყარ, გორის გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფე

რომანის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება ქ. გორში შაბათს აგვისტოს 3 (ახალი სტილით). 822

გულ დათუთქული და ღრმად დამწუხრებულნი მშობლები დედა თედოსი ნიკოს ასული და მამა ბარისო ქუთათელაძე ძმები ვანო და მიშა ქუთათელაძენი, დები: ცუცუ სალუქვაძისა და ანა ქუთათელაძე, რძალი ანეტა გიორგის ასული ქუთათელაძისა და სიძე მელიტონ სალუქვაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ სტუდენტის

სეფიკო (სტეფანეს)

სულის მოსახსენებლად დანიშნულია სამშაბათს, აგვისტოს 3 (ახ. სტილით) დილის 11 საათზე, სოფელ ივანდიდში. 817

კვირას, აგვისტოს 4-ს, 12 საათზე, ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი სულის მოსახსენებლად ტრაღიკულად მოკლულის

ილია გიორგის ძე ციციშვილის

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულით მწუხარენი დედა სოფიო ივგორის ასული, მეუღლე მელანია ივანეს ასული და შვილი ალექსანდრე ციციშვილები. 818

აგვისტოს 4-ს, კვირას 12 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულად მოკლულ ძმების

კოტე და ვასო გრიგოლის ძე ციციშვილების

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულით მწუხარენი დედა ლუდმილა გაბრიელის ასული, ძმა ვლადიმერი თავის მეუღლეთი ნატალია სოლომონის ასული და და ეკატერინე გრიგოლის ასული ციციშვილები. 818

**საქართველოს რესპუბლიკის** მხედრობის მომარაგების უფროსის სამმართველოს საინტენდანტო ნაწილი ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის აგვისტოს 6, სამშაბათს, დღის 12 საათზე, ზემოხსენებულ ნაწილის სადგომში (ნიკოლოზის ქუჩა, № 51) დანიშნულია სიტყვიერი და დაბეჭდილ კონვერტებით საჯარო ვაჭრობა ქ. ტფილისის გარნიზონისთვის სახაზინო ფქვილიდან დღეში დაახლოვებით 300—400 ფუთი პურის გამოცხობაზე. ვისაც პურს ცხობა იკისროს, საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს წერილობითი განცხადება თავისი პირობებით. ვინც მხოლოდ სიტყვიერ ვაჭრობაში მიიღებს მონაწილეობას, მანაც ამის შესახებ წერილობითი განცხადება უნდა შემოიტანოს. განცხადებას თან უნდა ერთოს შესაფერი მოწმობა იმის შესახებ, რომ მოვაჭრეს აქვს რიგზე დაყენებული პურის საცხობი, მოეპოვება ამ საქმისათვის საჭირო ავეჯეულობა და ან რამდენი ფუთი პურის გამოცხობა შეუძლიან დღე-ღამეში; ამას გარდა უნდა წარმოდგენილ იქმნას ბედ 3000 მანეთი. განცხადებას ზედ მანეთიანი ღერბის მარკა უნდა ეკრას. 1261

**საჯარო შეჯიბრება.** ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ 1918 წლის აგვისტოს 5-ს გამგეობის თანდასწრებით გაიმართება **საჯარო შეჯიბრება.**

საფაიტონო „ბლიახების“ 5800 ცალის დამზადების წინადადებებში. ცნობების მიღება შეიძლება გამგეობის მე 4 განყოფილების კანცელარიაში.

2263 გამგეობის წევრი **დავიდოვი**

**განცხადება** კვირას და ორშაბათს (აგვისტოს 4 5) გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა სახალხოს ბაღში **ლატარეია-ალეგრით** და სხვა და სხვა გასართობებით პტი შვო, ყვავილები, ფოსტა, რუმბო, ბუფეტი, კაბარე და სხვა. მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მსახიობები ალ. წუწუნავას ხელმძღვანელობით სეირნობის დროს დაუკრავს ტფილისის ყველა სამხედრო ჯარების შეერთებული ორკესტრი კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით.

ლატარიაში ჩაგდებულია 6000 მეტი ნივთები, თვითმადუღლები (სამოვრები) ქვაბები ზეწრები, პალტოები, საცვლები და სხვა და სხვა მრავალი ნივთები.

სეირნობის მთელი შემოსავალი მოხმარდება საქართველოს ტერიტორიაზე ომის მიერ დაზარალებულებს. სეირნობას მართავს გურიის დამხმარე კომიტეტი.

**დასაწყისი ნაშუადღევის 12 საათზე.**

ბაღში შესავალი ბილეთები 2 მან. მოზრდილთათვის, ბავშვებისათვის 1 მან. 819

ვერის საქალაქო პარკი

კვირას, აგვისტოს 4-ს 1918 წ. „ტფილისის ქართველ მომღერალთა /სახალხო გუნდი“ მიხეილ კავსაძის ლოტბარობით მართავს პირველად დიდ სახალხო

სეირნობა-კონცერტს

რომლის წმინდა შემოსავლიდან გადაიდება 50 პროცენტი მეოთხე რაიონის წითელ გვარდიის შტაბის სასარგებლოდ და დანარჩენი სახალხო გუნდის მუდმივ არსებობ. ფონდის სასარგებლოდ სეირნობაში გაიმართება ბევრი სხვა და სხვა გასართობები. დასაწყისი სეირნობისა სრულ 5 საათზე.

1245 გამგე **ნ. კავსაძე.**

ქართული კლუბი

**1918 წ. შაბათს, აგვისტოს 3-ს**

საზაფხულო საღამო

**დასაწყისი საღამოს 5 საათზე.**

კლუბის წევრების და მუდმივ მოსიარულეთა შვილებთათვის შესვლა უფასოა. 1265

**წმ. ნინოს სასწავლებლის საზაფხულო ბალი**

კვირას მარიამობისთვის 4 მეხუთე ქართულ პოლკში მსახურთა შვილების გამოსაზრდელ ფონდის დასაარსებლად გაიმართება

I) დიდი სეირნობა კონცერტი კაბარე და ცეკვა ღამის 3 საათამდე

II) კონცერტი ორ დიდ განყოფილებად.

მონაწილეობენ ტფილისის სახელმწიფო თეატრის მსახიობნი ქ-ნი: შვამბერგი, მილიავისა-კორონა, ფირსოვისა; ბ-ნნი: კანშინი, ვრონსკი, ნიკოლსკი და ინაშვილი.

კონფერანსიე **ნ. ა. დიმოვი.** როიალთან **სანდრო კორონა.**

სეირნობა დაიწყება 8 საათზე საღამოთი, კონცერტი კი 9 საათზე ახალი დროით.

ბილეთები იყიდება „ძმურ ნუგეშში“ 8—10 საათამდის საღამოთი და პოლკის შტაბში (საპიორის ქუჩა).

საღამოს დიასახლისი ქ-ნი **ბალუევისა.**

საღამოს პასუხისმგებელი გამგე **ვ. დ. ბარნაბიშვილი.**

1261 თანაშემწე **კ. ბადრიაშვილი.**

## ტფილისი, აგვისტოს 3

**პერსპექტივის წილში.** საქართველოს რესპუბლიკა მთელ რუსეთში ამ ჟამად საჩვენებელ და საინტერესო კუთხედ შეგვიძლიან ჩავთვალოთ. მარტო იმიტომ კი არა, რომ საქართველო არის ოაზისი რევოლიუციის უფლებებისა, არამედ იმიტომ, რომ საქართველოს დემოკრატია დაადგა მტკიცე ეროვნულ შემოქმედების გზას და შექმნა მთელი რიგი სახელმწიფოებრივი აქტისა, რომელთა კომპლექსი აუცილებელი პირობაა ქვეყნის კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებისა.

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკის დამახასიათებელი რეალურ პოლიტიკის წარმოებაა. სიტყვისა, პოლემიკის და პარტიულ ქინის ქვეყანა—შეიძლება ვსთქვათ სრულიად განთავისუფლდა უმნიშვნელო რევოლიუციონურ და პოლიტიკურ ფრაზეოლოგიისაგან, მდგომარეობას პირდაპირ გაუსწორა თვალი და უშიშრად შეჰქმნა წესები, რომელიც თავის თავად ჰქმნის დისციპლინას, წესიერებას, მუშაობას, საალმშენებლო ბრძოლას.

დემოკრატიამ დემოკრატიისათვის, მოპოებულ უფლებათა შეძენისათვის გადადგა დიდი ნაბიჯი პარტიათა შერიგება-გაერთიანებისათვის, მოაწყო საქმიანი პარლამენტი, რომლის დიდი უმრავლესობა ერის უმრავლესობის ნებისყოფას ატარებს და ღირსეულად ხელს უწყობს მთავრობის სახელმწიფოებრივ მუშაობას.

საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სამოსამართლო დარგების მოგვარებით არ განსაზღვრულა მთავრობის ნაბიჯი. ვისაც გუშინდელი დღე არ ავიწყდება და კანონთა კრებულში არჩევს სახელმწიფოებრივ სისტემას, ის ადვილად დაინახავს, რომ საქართველოს რესპუბლიკა სრულიად ახალ გზას დაადგა დიად პერსპექტივის გასამართლებლად. რეალურ ძალთა მოთხოვნილების გამო ბუტაფორული და მეტაფორული ლოზუნგები დავიწყებულია, ბრბოთა ასალაგმავად შემოღებულია და მოქმედებს საველე სასამართლოები თავის სიკვდილით დასჯის კანონით, სწარმოებს დიდი მუშაობა მუდმივი ჯარის შესაქმნელად, სრულიად ახალ დონეზე ეწყობიან საერობო, სამოქალაქო და სახელმწიფო უწყებანი, აგრარული რეფორმა განზრახულია დაუახლოვონ სოფლის მეურნეობის განვითარების მოთხოვნილებებს, ხოლო ვაჭრობა-მრეწველობაში ვიწრო რეგლამენტარიზმის პრინციპის წინააღმდეგ შემოდის აზრი ხალხის ყოველ ელემენტის შემოქმედებითი ენერგიის გამოყენებისა.

ყოველ ამ შესანიშნავ ნაბიჯით არ ამოიწურება საქართველოს რესპუბლიკის ახალი ცოცხალი სიტყვა. სახელმწიფოებრივ უესებს სამინისტროები ნიადაგს უმზადებენ ეკონომიურ მუშაობის განცხოველებით. წარმოდგენილია დიდი სქემები რკინის გზების აშენებისა, საზოგადოებრივ მუშაობის დაწყებისა, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო მეურნეობის გაჩაღებისა. საქართველოს ყოველი ღირებულება, უბრალო მცენარეებიდან დაწყებული, მადაროებისა და გვეადაგის კულტურისა ნავთის მისაღებად, ჰხდება მიზნად და საშუალებად, რათა ხალხი ჩააბაალებ-მიცემობაში, მეურნეობაში, მრეწველობაში, რომ ამ კულტურული გზით ავაზაკობის პერსპექტივიდან ხალხი გამოვიდეს მუშაობის და ევროპიულ მომავალის გზაზე.

ეს მოკლე ანალიზი საქართველოს თანამედროვე დიდი მუშაობისა სრულიად ორიგინალურია დღეს რუსეთში. დღეს აშკარა ხდება, რომ საქართველოს რუსეთში შესძლებია არა მარტო რევოლიუციაში სთქვას პირველი სიტყვა, არამედ სახელმწიფოს აღმშენებლობაშიაც. აქ, საქართველოში არის ნიშნები რეალურ ოპტიმისტურ პერსპექტივებისა და უეჭველია ეს პერსპექტივა ჩვენს ხალხში ფსიქოლოგიურ ატმოსფერას შექმნის გიგანტიურ შრომისა და მომავალის შესაქმნელად. ვიბრძოლოთ, ავაყვავოთ და მტკიცედ დავედოთ ჩვენი ძვირფასი სამშობლოს ამ დიად პერსპექტივას.

## მთავრობაში

მთავრობის სხდომაზე მოსმენილ იქმნა ფოთიდან დაბრუნებულ ფინანსთა მინისტრის ჟურულის მოხსენება. მთავრობამ მოიწონა ყველა ღონისძიება იქმნა მინისტრისაგან მიღებული და დაადგინა მიღებულ იქმნას ზომები, რათა გემების მიმ სვლა ფოთსა და ტუაპსეს შუა აღდგენილ იქმნას, რომ ამით გაუადვილდეს მგზავრობა იმ პირთ, რომელნიც კავკასიიდან მიდიან. დადგენილ იქმნა აგრეთვე დაიწყოს მოლაპარაკება გერმანიის საელჩოსთან რომ დაგვითმონ ძველი გემები, რათა მოეწყოს გემით მიმოსვლა მდ. რიონშიაც. აქ მიმოსვლა შესაძლებელია ორპირამდე, შემდეგ შესაძლებელი იქნება სამტრედიამდისაც.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშავდება პროექტი საყოველთაო შრომის ბეგრის შემოღების შესახებ.

ბათომის ქალაქის თავად ნამყოფი ა. ბ. საბახტარაშვილი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის მეორე ამხანაგად.

აფხაზეთის საქმის მინისტრად დაინიშნა რ. ჩხოტუა.

მიწათმოქმედების სამინისტრომ წინადადება მისცა მთავრობას მუშტაიდის და ალექსანდრეს ბაღის ნაწილი გადაეცეს ქალაქის თვითმართველობას.

## უკანასკნელი ცნობები

გენ. სუმბათაშვილი სამხედრო მინისტრს დეპეშით შემდეგს ატყობინებს: ჩვენი რაზმი, როგორც ტყიბულის მიმართულებით, ისე სამხედრო ოსეთის გზაზე, მიუხედავად ბრბოს სასტიკი წინააღმდეგობისა, ბრძოლით წინ მიიწევს. მოწინააღმდეგეს დიდ ზარალს ვაყენებთ და იძულებულ ვხდით მთებში დაიხიონ. განსაკუთრებულ მამაცურად მოქმედობს არტილერია ქორქაშვილის მეთაურობით. დავატუსაღეთ 3 მეთაური, რომლებმაც უარი განაცხადეს თავიანთი გვარი ეცნობებიათ და რაიმე ცნობა მოეცათ, სამივე დავხვრიტეთ.

სამხედრო ოსეთის გზაზე ჩვენმა რაზმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ დაიკავა მნიშვნელოვანი მაღლობი გორ-მაღალი, სადაც ვიპოვეთ 60 კაცი მკვდარი და 81 დაჭრილი დაჭრილებიდან გავიგეთ რომ ივლისის 29 შეტაკების დროს მოუკლავთ მოწინააღმდეგის რაზმის უფროსი რომანი ექვთიმეს ძე რატიანი, ყოფილი სტრაჟნიკი. ჩვენმა რაზმა წაართვა მოწინააღმდეგეს ბევრი ვინტოვკა. ჩვენი ზარალი შედარებით ძლიერ მცირე მნიშვნელოვანია: მოკლულია ერთი ოფიცერი და სამი ჯარისკაცი. ბრბო გამაგრებულია მიუვალ ადგილებში, რადგანაც მათ ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებლები თანაუგრძნობენ, საშუალება აქვთ პოზიციებზე გამაგრდნენ, და ნელ-ნელა დაიხიონ მაზრის შუაგულში.

**ტუაფსეში.** სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ქალ. ტუაფსეს ქართველ ჯარის მიერ დაკავებას ის მიზანი აქვს, რომ გაუადვილოს მგზავრობა იმ პირებს, რომელნიც კავკასიას სტოვებენ და არა ქალაქის ანექსია.

## ახალი ამბავი

✦ **ვინაიდან ბეჭვდის მასალა, ქაღალდი, ხელფასი და სხ. ამ უკანასკნელ დროს ძალიან გაძვირდა, ტფილისის გაზეთის ფასი დროებით გადიდება. ამის გამო ჩვენი გაზეთი აგვისტოს 4 დან ეღირება ტფილსში და პროვინციაში 50 კაპ. რკინის გზის სადგურზე 60 კაპ.**

✦ **საპატიმროთა ინსპექციაში.** როგორც მკითხველებს ეხსომებათ, საპატიმროთა ინსპექტორად წარსულ ივლისის პირველ რიცხვებიდან ითვლება ლაზარე შურღაია, რომელიც რუსეთში ყოფნის დროს სპეციალურად სწავლობდა სისხლის სამართალს და საპატიმროების ორგანიზაციას და უნივერსიტეტთან დატოვებული იყო სისხლის სამართლის კათედრაზე. ივლისის განმავლობაში ინსპექციას მოუხდენია ოცი სხდომა. მთავარი მისი ყურადღება მიქცეული იყო არსებულ შტატების შემცირებაზე მხოლოდ ისე კი, რომ საპატიმროთა ორგანიზაციას ზიანი არ მიეყენოს შტატების შემცირებას მოჰყვა ასეთი ეკონომია: საპატიმროთა ინსპექციაში 7 800 მანეთით შემოკლდა ხარჯი, ახალციხეახალქალაქის საპატიმროებზე 17 4000 მან, თელავისაზე 9 840 მ., ქუთაისისა და ბათომისაზე 234.233 მ, ხოლო ტფილისის საპატიმროებზე ხარჯი შემცირდა 555.832 მ, სულ ამ წელს ხარჯი შემოკლდა 822,105 მანეთით. საპატიმროთა ინსპექცია ეხლა იმუშავებს პროექტს რეორგანიზაციისას. პროექტით განზრახულია საქართველოს ყველა საპატიმროები დაუმორჩილონ ეგრედ წოდებულ მთავარ გამგებლობას, რომლის სათავეში იქნება უფროსი. წინად საპატიმროები ემორჩილებოდნენ საგუბერნიო კომისარებს, ამ პროიქტით კი საპატიმროები დაექვემდებარებიან მხოლოდ მთავარმართველობას, ეს საჭიროა იმისათვათ, რომ შესაძლებელი იყოს ცხოვრების პონიტენციალურ რეფორმის განხორციელება.

✦ **დუშეთის ქალაქის თავად** ამას წინად ერთხმად აირჩიეს ჩვენი პარტიული ამხანაგი და ბათომის საპარტიზანო პოლკის პარტიზანი ალექსანდრე ინაშვილი

**ბოროტი განზრახვა** ავგისტოს 1-ს, ღამის 12 საათზე, სოლოლაკის ქუჩაზე რამოდენიმე ბოროტგამზრახველმა დამხმარებელ საზოგადოების ბინის კარები გასტეხა ავაზაკებმა ველარ მოიყვანეს სისრულეში თავისი განზრახვა, რადგანაც მილიციონერებმა დროზე გაუგეს. ბოროტგამზრახველები მიიმალნენ.

**გაძარცვა** ივლისის 28-ს ბოროტმოქმედებმა მელიქ-აზარინცს წაართვეს 10 ათასი მან. და რევოლვერი.

ავგისტოს 1-ს ღამით ლურიეს ბინიდან მოიტაცეს 30 ათასი მანეთის სხვა და სხვა ნივთი.

**მილიციონერებმა დააპატიმრეს:** კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლისათვის გენ. ბაბკინი და მოკეევი.

**კობიდან** შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებენ, რომ ივლისის 29-ს თერგის ოლქში გაურეკიათ 1200 საქონელი. რომელიც კობის და ყაზბეგის საზოგადოების მცხოვრებლებს ეკუთვნოდა. თხოულობენ დაუყონებლივ დახმარებას

**სიღნაღიდან** იქაური მაზრის კომისარი სასურსათო მინისტრს დეპეშით ატყობინებს: მიუხა დავად მთავრობისაგან თამბაქოს გაყიდვის აკრძალვისა ალაზნის რაიონის მცხოვრებლები ზაქათალის ოლქში ჰყიდიან თამბაქოს, რადგანაც სიღნაღის კომისარიატს საშუალება არა აქვს მათთან ბრძოლისა, ის მოითხოვს გაუგზავნონ მათ უპროცენტო თანხა, რომ კოოპერატივთა კავშირმა, ან სხვა საკრედიტო დაწესებულებებმა შეისყიდონ თამბაქო.

**ამ წლის აგვისტოს 6** (ახალი სტილით) საღამოს 5 საათზე ახალი დროით) ქ. ქუთაისში დანიშნულია ქართულ ტექნიკურ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების კრება.

დღის წესრიგშია ფრიად საყურადღებო კითხვები: 1, ახალი თავმჯდომარის არჩევა 2, სარევიზიო კომისიის არჩევა, 3, ინჟინერ ტეხნიკოსების თავისუფალ ადგილებზე დანაწილება სპეციალურ ცოდნის მიხედვით. 4, ქუთაისის ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების დამოკიდებულება ტფილისის ცენტრალურ ქართულ ტეხნიკურ საზოგადოებისა, 5, მუზეუმის და ბიბლიოთეკის შესახებ.

**სამხედრო კავშირის** ქალ-ვაჟთა მომღერალთა გუნდის გამგე ილ. აბაშიძე დაბრუნდა ტფილისს და ჰიმნ-შეჯიბრების კონცერტის მოწყობას შეუდგა. შეჯიბრება ამ ახლო მომავალში გამართება.

**სოხუმის ფოსტა-ტელეგრაფი** სოხუმიდან ეროვნულ საბჭოს წევრი გიორგი ანჯაფარიძე ატყობინებს ს.-დემ. ფრაქციის თავმჯდომარე ი. წერეთელს; ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა მდგომარეობა ტრაგიკულია რამოდენიმე თვეა ჯამაგირი არ მიუღიათ და არც იციან რამდენი უნდა მიიღონ, მოახდინეთ განკარგულება მათ ჯამაგირი მიეცეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობა შესწყდება. ჩვენ მივიღეთ ცირკულიარი ნაციონალიზაციის შესახებ, რომლის ძალითაც უნდა გავიდნენ სამსახურიდან თითქმის ყველა მოსამსახურენი, ვინაიდან სოხუმისა და ახლო მახლო სოფლების მცხოვრებთა უმრავლესობამ ქართული სრულებითაც არ იციან, სოხუმის ოლქი დროებით გამონაკლისს უნდა შეადგენდესო. ასეთი გადაწყვეტილება გამოუტანია აფხაზთა სახალხო საბჭოს.

**ახალი გაზეთი** დღეს გამოვა სოციალისტ-რევოლიუციონერთა ცენტრალური კომიტეტის ყოველ-დღიური გაზეთი „შრომა“.

**ხოლერა** ქვემო-ნიჩბისში გაგზავნილი ექიმი გადმოგვცემს, რომ იქ ხოლერით ავად გამხდარა 17 კაცი, 10 ეხლაც ავად არის, 4 მომკვდარა და 3 მორჩენილა. საჭიროა სასანიტარო რაზმის გაგზავნა. ნიჩბისთან ახლო მდებარე დანარჩენ სოფლებში ხოლერა არაა.

**საქართველო და სპარსეთი.** ამ სათაურით „კავკაზსკოე სლოვო“-ში შემდეგი ცნობა იყო მოთავსებული: „სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და სპარსეთის კავკასიის გენერალურ საკონსულოს შორის სერიოზული ხასიათის უთანხმოებამ იჩინა თავი, რასაც შეიძლება დიპლომატიური დამოკიდებულების შეწყვეტა მოყვეს“. ჩვენ სარწმუნო წყაროებიდან შემდეგი გავიგეთ ამის შესახებ: ამ დღეებში საგანგებო რაზმს ტფილისში რამდენიმე ვაჭრები გაუჩხრეკია. რაზმი ეძებდა გადამალულ სხვადა სხვა საქონელს უმთავრესად ჩხრეკა მოხდა იმ სავაჭროში, რომელნიც შენიშნული არიან სპეკულიაციაში. სხვათ შორის ამათ რიცხვში მოჰყვნენ სპარსეთის ქვეშევრდომი ვაჭრები და ერთიც მგონებო საფრანგეთის ქვეშევრდომი. სპარსეთის ელჩმა ამის გამო საგარეო სამინისტროს განუცხადა პროტესტი. მისი აზრით, სპარსეთის და საფრანგეთის ქვეშევრდომთა სავაჭროების გაჩხრეკა საზოგადო წესით არ უნდა მომხდარიყო.

## საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

დღეს, შაბათს, საღამოს 7 საათზე, პარტიულ ბინაზე, დანიშნულია ტფილისის საქალაქო კომიტეტის კრება

## როდემდის?!

(შეკითხვა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას)

„ბორბა“-ს მე-№ 128-ში დაბეჭდილია შემდეგი: სახალხო გვარდიის მთავარ შტაბიდან გვატყობინებენ: ჩვენმა დელეგატებმა წარუდგინეს თერგის ოლქის მთავრობას ნ. ი. ჟორდანიას ხელმოწერილი ულტიმატუმი, რომლის უმთავრესი მუხლები ასეთია: 1) დაუყონებლივ დაბრუნებულ იქმნან ტყვეები, 2) ამბოხებით გამოწვეულ ხარჯების ანაზღაურება და გატაცებულ ქონების დაბრუნება“. ამ ულტიმატუმს მოჰყვა ფრიად საინტერესო შედეგი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. იქვე ჩვენ ვკითხულობთ:

. . . „თერგის მთავრობისაგან მივიღეთ სრული თანხმობა, რომ ის აკმაყოფილებს ყოველ მოთხოვნას.

ჩვენი მთავრობის ეს ნაბიჯი და ამ ნაბიჯის შედეგი თვით მოითხოვენ არსებითად განხილვას, რადგან ჩვენი მთავრობის ამ აქტს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ნორჩ სახელმწიფოსათვის დღევანდელ პირობებში. მაგრამ მე ეს მიზნად არ დამისახავს. ხოლო ერთი რამ კი უნდა ითქვას. ეს ის, რომ ჩვენი რესპუბლიკა მკვიდრ ნიადაგზე დგება და მეზობელი ერები ამ მოვლენას ანგარიშს უწევენ ეს კი დიდი პლიუსია საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის.

ჩემი შეკითხვის საგანია: ქისტების მრავალ-რიცხოვან ბანდების სისტემატიურად შემოსევა თუშ-ფშავ-ხევსურეთში; მეტადრე თუშეთში.

ქისტების შემოსევის ისტორიას არ შევეხები; ხოლო მოვიყვან ამ უკანასკნელ დროიდან რამდენიმე ფაქტს; ეს ფაქტები ცხად ჰყოფენ, რომ ქისტების ბანდების შემოსევის საკითხს არ აქვს მნიშვნელობა მარტო ფშავ-ხევსურ-თუშისათვის; ეს მოვლენა ეხება მთელ საქართველოს და, მაშასადამე, მას აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ამ რიგად, ჩემი შეკითხვის საგანი აუცილებლად უნდა გახდეს სახელმწიფოს საზრუნავ საგნად. სწორედ ეს მაიძულებს შეკითხვით მივმართო ჩვენს მთავრობას.

ქისტების ბრბოები, რამდენიმე კაციდან ორმოცამდე, ყოველ წელს, ხოლო სპორადიულად, თავს ესხმოდნენ ბორბალოს კვანძთან მცხოვრებ ქართველ მთიელებს. ამას ხელს უწყობდა რუსის ვერაგი მთავრობა, რისაც მრავალი ფაქტები გვაქვს. 1905 წლიდან შესამჩნევად შესუსტდა ქისტების ავაზაკობა; მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდა: ქისტებმა ისევ დაიწყეს თარეში. მიჰყავდათ აუარებელი საქონელი, ხდებოდა მკვლელობა ორივე მხრიდან. ეყრებოდა მკვიდრი ნიადაგი შურისძიებას და სისხლის აღებისა, რაიც, მთიელების რჯულ-წესის თანახმად, გრძელდება ხოლმე ას წლობით.

ქისტების ბანდების შემოსევამ სისტემატიური ხასიათი მიიღო მსოფლიო ომის დაწყებისთანავე. ყოფილი რეჟიმი ხელს უწყობდა ქისტებს და თავის განზრახვას ანხორციელებდა თიანეთის ადმინისტრაციის საშვალებით ქისტები უფრო გათამამდნენ და დაიწყეს ძლიერი თარეში. რაც მოხდა ამ წელს ეს აღემატება ყველა იმას, რაც ჩაიდინეს ქისტებმა ამ ათი წლის განმავლობაში; და რაც გაჰბედეს ქისტებმა წარსულ წლის ზამთრის პირზე, ვერავინ წარმოიდგენდა.

ამ წლის მაისში ალაზნის თავს მწყემსებს თავს დაესხა 80—120 ქისტი (სულ 5 ბინა იყო) და გაიტაცეს ქისტეთში 2500 მეწველი ცხვარი. მკათათვეში იქიდანვე გაიტაცეს ერთი ფარა ბატკანი (დაახლოებით 1200 სული და მოჰკლეს ერთი მწყემსი. ამავ თვეში ლეკოვანიდან (ივრის სათავე) გაიტაცეს ერთი ფარა ბატკანი დაახლოებით 1000 სულამდე). მთელი ეს საქონელი ფულად რომ ვაქციოთ, დღევანდელ ფასების მიხედვით, შეადგენს 500,000 მანეთს. ქისტები, სჩანს, ამით არ კმაყოფილდებიან. თუშეთიდან შიკრიკი ჩამოვარდა და განცხადება შემოიტანა თელავის თავ. კომიტეტში. შიკრიკმა გვამცნო: ორგანიზაციული რაზმები სდგება იმ განზრახვით, რომ მთელი საქონელი გაიტაცონ ამის შესახებ ეცნობა სამხედრო მინისტრს. იმედი მაქვს მკითხველი თვით წარმოიდგენს, თუ რა მოხდება ამ შემთხვევაში.

ნახევარზე მეტი თუშობა ზამთარზაფხულ რჩება მთაში. თავს გასული ქისტები ზამთრის დასაწყისშივე, —ზემოთ რომ შევნიშნე, შეუდგნენ ერთ დიდ საქმეს. მათ გამოუზავნეს თუშეთში თავიანთი დელეგატები შემდეგი განცხადებით: ან ხარკი მოგვეცით ყოველ წლიწადს ვგონებ 6000 მან. წელ.), ან არა და გაგანადგურებთ, (თუ არა ვცდები, შატილის რაიონის ხევსურებსაც მიეცათ ეს წინადადება) აი ეს განადგურება დაიწყო კიდეც.

ამით ვათავებ ჩემი შეკითხვის ფაქტიურ მხარეს და ვაყენებ ამისთანა კითხვებს:

1. მოვალეა, თუ არა, ჩვენი მთავრობა ქისტების შესახებ, საკითხი მიიღოს სახელმწიფოებრიობის შესახებ საკითხად?

2. ქისტების განზრახვა თუშების დახარკვის შესახებ ეხება თუ არა სახელმწიფოებრიობას და ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობას?

3 იცის, თუ არა, ჩვენმა მთავრობამ, რომ ქისტები თავს ესხმიან თუშ-ფშავხევსურებს და დიდ ზიანს აძლევენ მათ ქონებს მოტაცებით და მკვლელობით?

და თუ იცის, როდის და რა ზომებით ჰფიქრობს იგი ბოლო მოუღოს ქისტების თარეშს და ამით უზრუნველჰყოს ხსენებულ მთიელების მყუდრო ცხოვრება?

**დ. ქადაგიძე**

1918 წ, ივლისის 28-ს ქ. თელავი.

P. S. 1) მარტში სოციალ. ცენტრი ისმენდა მოხსენებას თერგის ოლქის ამბების შესახებ. მომხსენებელი, სხვათა შორის, შეეხო ნაჟმუდინს, რომლის შესახებ მეც მქონდა ცნობები, მთის თუშეთიდან მიღებული. ეს ცნობები უკავშირდებოდნენ ქისტების მზადებასაც. მე მაშინ ვსთხოვე თავმჯდომარეს ნება მოეცა ჩემთვის ცნობები მიმეწოდებინა ნაჟმუდინის შესახებ და, ამასთან ერთად, ქისტებსაც გავახსენებდი კრებას. მაგრამ მე, როგორც გარეშეს, ნება არ დამრთეს.

2 აუცილებელი საჭიროებაა მიექცეს სერიოზული ყურადღება პანკისის ქისტებს, რომლებსაც ნათესაური დამოკიდებულება აქვთ ზემოხსენებულ ქისტებთან (გროზნის ოლქი: სოფ. მუცო, მითხო, თერეგო. .) და ხშირად ხელმძღვანელობასაც უწევენ პირიქითის ქისტებს

დ. ქ.

## ზოგი რამ

რუსეთის კადეტების ორგანოს **ნაროდნაია სვობოდას** სალაპარაკოდ გაუხდია რომ ქართველები კავკავს და ტუაფსეს, ხოლო თათრები ბაქოს უახლოვდებიან და მათთვის იმპერიალისტები უწოდებია, ხსენებული პარტიის იდეოლოგები როცა ჰბატონობდნენ ჩვენს ქვეყანაში, ცხრამთას იქიდან ჩამოთესლებულები, მათი ბატონობა თურმე ბუნებრივ ჩვეულებრივი იყო და იმპერიალიზმს არ წარმოადგენდა მათი ფარფაშობა საქართველო, ადერბეიჯან სომხეთში.

თათრები სცდილობენ თავიანთი დედაქალაქი ბაქო ხელთ გამოჰგლიჯონ დაუპატიჟებელ ბოლშევიკებს და მობოლშევიკე კადეტებს, რომელნიც ჩვენ და კვლავ დასამონებლად მზად არიან ანარქისტებადაც კი გადაიქცნენ. ბაქოს აწინდელ ბატონებს ჯიბის ინტერესის მეტი არა აქვთ რა. მართალია ბაქოს უქონლობა ბოლშევიკების რესპუბლიკას ზარალს მისცემს იმ მხრით, რომ ნავთის მოგება, ბაქოს დაკარგვისთანავე, დარჩებათ თათრებს, რომელნიც არიან ბაქოს და მისი გუბერნიის ნამდვილი პატრონები. თუ თურქებიც ეხმარებიან თათრებს ბაქოს დასახსნელად. უცხო ტომელთ მფლობელობისაგან, ეგ გახლავს საქმე თვითონ თურქ თათრებისა, რომელნიც ორნივ დიდი თურანის შვილები არიან და ძმებმა იციან, როგორ მოჰრიგდნენ. დღეს კი უნდა ითქვას, რომ რუსეთის ბატონობა ბაქოში ისევე, როგორც ჩვენში იყო, ნაყოფია ძალმომრეობისა, რომელსაც ძალა თუ გაამრთელებს. იმ რუსის ოფიცრებს, რომელნიც დაჰრჩნენ ადერბეიჯანის რესპუბლიკის ჯარში და მაშასადამე მონაწილეობაც უნდა მიეღოთ ბაქოს წინააღმდეგ მოქმედებაში, იგივე გაზეთი აწბილებს უნდა გრცხვენოდესთ, რომ თათრებს ეხმარებით

## აგრარული საკითხი საქართველოში.

4.

**აგრარული კაპიტალიზმი.**

კაპიტალისტურ წარმოების საფუძველი ზედმეტი სარგებელი, დაგროვილ კაპიტალის გაზრდა, მექანიკის განვითარება, შრომის განაწილება, გადიდება მუშის რიცხვისა როგორც შედარებით ისე აბსოლიუტურად მრეწველობაში თანაბარ და დიდ ნაყოფს, სარგებელს იძლევა. ინდუსტრიაში წარმოება—პირობაა საზღაპრო სიმდიდრისა; აჟიოტაჟი, ბირჟა, სპეკულაცია დაუსრულებელი ბრუნვა საქონლისა საოცარ სიმდიდრეს ქმნის. სოფლის მეურნეობაში, ხორბლის და კომბოსტოს ვაჭრობაში ასეთი მოვლენები უმაგალითოა. შეიძლება სოფლის ნაწარმოები გარდაიქცეს ვაჭრის და მაკლერის სპეკულიაციის საგნად, მაგრამ ეს პროცესი უმთავრესად მოხდება ქალაქში, მაგრამ მაშინ, როდესაც ნაწარმოებს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს კავშირი მიწასთან, თვით სოფელში—ეს პროცესი არ არსებობს. რამდენადაც საფონდო ბირჟაზე ფინანსიური სპეკულიაცია მარტივია, ადვილია და საიმედო, იმდენად პურის ბირჟაზე ძნელი, რთული და უიმედოა ხორბლეულის სპეკულიაცია. ამავე დროს მთელი რიგი სოფლის ნაწარმოებისა ვერ აიტანს იმ პერიოდებს, დროს, მოცდას, რომელიც სპეკულიაციის ბუნებიდან გამომდინარეობს, ასე რომ ეს წყაროც კაპიტალის ზრდისა, დაგროვებისა სოფლის მეურნეობაში თუ სავსებით არა, რამდენადმე უეჭველად დახშულია. ჯერ ად. სმიტიც გვასწავლიდა, რომ „მთელს ევროპაში ვერც ერთ ქვეყანას ვერ დავასახელებთ, სადაც ას კაცზე ერთს მაინც სოფლის მეურნეობაში მცირე თანხიდან ენახოს დიდი სარგებელი, როგორც ეს ხდება ვაჭრობასა და მრეწველობაში. აქედან უნდა დავასკვნათ—ამბობდა სმიტი—რომ შრომა მეტ ნაყოფს იძლევა ქალაქში, რომ კაპიტალი და სარგებელი მეტ სარგებლობას ჰპოებს ქალაქში ვიდრე სოფელში.*) ადამ სმიტის შემდეგ ას ოცდა ათი წელიწადი გავიდა და მაშინ გამოთქმული აზრი ეკონომიურ ცხოვრების განვითარებამ სავსებით გაამართლა. ვაჭრობასა და მრეწველობაში კაპიტალის ზრდა იმდენად სწრაფად სწარმოებს, რამდენად ხელა სოფლის მეურნეობაში, ამ მხრივ კაპიტალიზაციის მსვლელობა ძირ-ფესვიანად განირჩევა სოფელსა და ქალაქში. იმიტომ, რომ ინდუსტრიალური კაპიტალი სასწრაფოდ იზრდება და ძლიერდება ქალაქში წვრილი კაპიტალი ვერ სძლევს. კონკურენციას ვერ აზერხებს და ისპობა. ქალაქში ჩვენ ვხედავთ შეკუჩებას წვრილ კაპიტალისტებისას, რომ მოახერხონ თავის დაცვა და მსხვილ კაპიტალის კონკურენციის ატანა. რამდენად ინდუსტრიის ბრძოლა ინტენსიურ ხასიათს იღებს და რთულდება მოგებისათვის წარმოების საშუალებანი, იმდენადვე გაჭირვებულ მდგომარეობაში ვარდება ქალაქში წვრილი წარმოება, მაგრამ ამის მსგავსი მოვლენაც არ ხდება სოფლის მეურნეობაში. ედუარდ დავიდი, რომელიც საფუძვლიანად ისწავლის სოფლის კულტურის ინტენსიფიკაციის პროცესს და კაპიტალის მნიშვნელობას მრავალი ფაქტით და სტატისტიკით გვიაშკარავებს, რომ სოფლის მეურნეობაში მექანიკური საშუალებები პროპორციულ ნაყოფს არ იძლევიან,**) მიწის სივიწროვე და ნაყოფიერობა საზღვრავს მის გავლენას და ამიტომაც არის რომ მსხვილი არა თუ ვერ აზერხებს წვრილ წარმოების მოსპობას, კონკურენციასაც კი ვერ იტანს და ადგილს უთმობს წვრილ წარმოებას. ხალხის გამრავლება, სხვა და სხვა კულტურულ-ეკონომიურ მოთხოვნილებების გაჩენა სოფელში იწვევს სხვა და სხვა სამეურნეო დარგებს. სპეციალიზაციის წარმოშობას ხელს უწყობს აგრეთვე ბუნებრივი პირობები იქ, სადაც ინტენსიური კულტურა ვითარდება და ადგილს იჭერს მევენახეობა, მეთამბაქოება, ბაღოსნობა და მებოსტნეობა შრომის ტეხნიკური კოოპერაცია კი არ იწყება, როგორც ინტენსიურ და სპეციალურ ინდუსტრიალურ მრეწველობაში, არამედ ინდივიდუალური შრომის პროცესი უმწვერვალეს ხარისხამდე ვითარდება, მექანიკური შაბლონი კვდება, მოხერხება, ნაზი მოპყრობა, სიფაქიზე და სიყვარულის გრძნობა აუცილებელ პირობად ხდება სამრეწველო-კულტურულ მცენარისათვის. ფორთოხლისა და ლიმონისათვის, რამისა და დაფნისათვის, მარწყვისა და ყურძნისათვის არც ერთი გაუმჯობესებულ მანქანას ისეთი მნიშვნელობა არ აქვს, როგორც ბუნების ცოცხალ გონებას და ფიზიკურ ენერგიას ამიტომ სოფლის მეურნეობაში ჩვენ ვხედავთ ინდუსტრიალურ კაპიტალიზმისათვის სრულიად არაჩვეულებრივ მოვლენას: ინტენსიური მეურნეობა ტეხნიკურ მანქანების გავრცელებას თან და თან ნიადაგს აცლის, ასპარეზს უხშობს. „განვითარებული ინტენსიური კულტურა—ამბობს ედუარდ დავიდი—თითქმის ერთსა და იმავე კულტურის დროს, იწვევს მანქანით მუშაობის რამდენიმედ შემცირებას. უფრო მკაცრ სახეს იღებს ეს პროცესი, როდესაც იწყებენ ისეთ მეურნეობას, რომელიც მოითხოვს შრომის მეტ ხარჯვას. მეტად გართულებული და გამრავლებული ხერხი, რომელსაც ვერ შესძლებს მექანიკური იარაღი ავიწროებს მანქანის ასპარეზს. შრომის მთელი ორგანიზაცია იმდენად იმსჭვალება თითოეულ მცენარის ინდივიდუალურ შრომით, რომ მანქანური შრომა მცირდება როგორც შედარებით ისე აბსოლიუტურად, ხოლო სულ უმაღლეს სამეურნეო კულტურის საფეხურზე სავსებითაც იდევნება მანქანა“.[37]) ასეთი პროცესი სრულიად უცნობი და წარმოუდგენელია მრეწველობაში. ფართლეულობის წარმოებაში, ლითონის გადადნობის საქმეში, მუშეულობის დამზადებაში, ლებვის დარგში საკმაო იყო მანქანის ადგილი დაეჭირა, რომ ყოველ ახალ ფორმების შექმნის მიხედვით, ესე იგი წარმოების დახელოვნების, გაუმჯობესობის და საერთოდ შრომის ძალთა ინტენსიფიკაციის დროს მანქანას წინანდელზე უმთავრესი ადგილი დაეჭირა, ხოლო გამოედევნა ყველა სხვა ფორმა შრომისა, რომელიც არსებობდნენ ხელოსნობის თუ მანუფაქტურის ხანაში.

სოფლის მეურნეობაში მრეწველობის თანაბარ ადგილს ვერ იჭერს. სოფელი უეჭველად მიდის ინტენსიფიკაციის გზით და კაპიტალიზაციის პროცესი ნიშნავს ექსტენსიურ, ბუნებრივ-პირველყოფილ მეურნეობის თავდანებებას სოფლის მეურნეობის განვითარების ეს კანონი თითქმის ერთნაირის შაბლონით ხდება ყველგან და ამნაირადვე ნიადაგი ეცლება სამრეწველო კაპიტალიზმის ყველა ტიპიურ ფორმებს. თვით სამრეწველო რევოლიუციათა აქტებს ვერ ვხედავთ სოფლად, რომლითაც ასე მდიდარი და საინტერესოა ინგლისურ კაპიტალიზმის პირველი ხანა. მართალია, ჩვენ აშკარად ვხედავთ მიწათმოქმედებაში თანამედროვე ხასიათის ცვლილებას, გაუმჯობესობას თესლის, ნერგის, ნაყოფის, რასაც მცირე ადგილი ქონდა ძველ ნატურალურ მეურნეობის დროს, მაგრამ ყოველივე ეს აიხსნება არა ორაქლისა და მანქანის ძალით, არამედ მეცნიერულ აგრონომიის, ფიზიოლოგიის, ბაქტერეოლოგიის და მეტეოროლოგიის შემწეობით, რომლითაც ადამიანის გონებამ ადგილი დაიჭირა ბუნების ძალთა მოძრაობის კანონის შესწავლაში. თვით მანქანა ამ შემთხვევაში უმცირეს როლს თამაშობს. დავიდი კატეგორიულად ამბობს, რომ „სოფლის მეურნეობაში რევოლიუციონური ცვლილებები შეიტანეს არა მექანიკურმა საშუალებებმა, არამედ მეცნიერულმა საშუალებებმა“[38]). ამნაირად ადამიანის პიროვნებას და ნებისყოფას უმთავრესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ინტენსიურ და სპეციალურ დანიშნულების მიწის მუშაობაში, არამედ სამეურნეო კულტურის საშუალებათა შექმნაშიაც. სადაც მანქანით არ იწყება გამოკვლევა და მანქანითვე არ თავდება მუშაობა.

სოფლის მუშის ბრძოლა ბუნებასთან მრავალ სახეს იღებს, პირდაპირ შეუძლებელია მეურნეობის ყოველ დარგის დასახელება, შრომის თავისებურებათა გამოხატვა შეიძლება კიდევ სხვა მოვლენებში, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია საერთოდ ვსთქვათ: მეურნეობის ყოველი მოვლენა, ყოველგვარი ფორმა, ტიპი, სახე, პროცესი სავსებით თავისებურია და სავსებით განირჩევა სამრეწველო კაპიტალიზმის მოვლენათაგან. მრავალ პირობათა ეს კომპლექსი შევვიძლია გამოვხატოთ არა მარტო სიტყვით და გახსენებულის ფორმულებით, ამას სამეურნეო ცხოვრების ხელშესახები ფაქტები, ესე იგი სტატისტიკური ცნობებიც დაგვიმოწმებენ. ჩვენ არ შეგვიძლიან არ მივმართოთ მეცნიერების ამ დარგს, რომელიც ყოველ ნათქვამს საუცხოოდ გამოხატავს და დაამტკიცებს.

**თედო ღლონტი.**

(შემდეგი იქნება)

*) იხ. ად. სმიტი, „დასახ. თხზულ.“ გვ. 289.

**) პ. მასლოვი „აგრარულ საკითხის“ პირველ ტომში სავსებით სდგას ამ შეხედულების ნიადაგზე, და უარყოფს მარქსის აბსოლიუტურ რენტის თეორიას.

[37]) იხ. დავიდი „სოციალიზმი და სოფლის მეურნეობა“. გვ. 508, 541 და სხ.

[38]) იხ დავიდის თხზ გვ. 539—540.